ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური“-ს

უფროსს

ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ფ/პ ლია როზაქოძის (პ/ნ 60002015219)

ტელ: 593 714 147

განცხადება

მე, ლია როზაქოძემ 2022 წლის 14 ივნისს შპს „დომუს დეველოპმენტისაგან“ (ს/ნ 205210261) უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შევიძინე 01.10.16.004.179.01.03.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ავტოსადგომი, რისთვისაც გადავიხადე 12 000 აშშ დოლარის ექვივალენტი 31 912.80 ლარი. ავტოსადგომი მდებარეობს -1 სართულზე და მისი ფართი ხელშეკრულების გაფორმების დროს 18 კვ.მ-ს შეადგენდა (პარამეტრებით 3X6). ნასყიდობის ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, #882022423079 რეგისტრაციით აღრიცხული ვარ ავტოსადგომი #10-ის მესაკუთრედ იხილეთ საჯარო რეესტრის ამონაწერი ფაილის მიმაგრების ველში. დომუს დეველოპმენტმა 2024 წლის 13 თებერვალს არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი კორექტირებული პროექტით ჩემი თანხმობის გარეშე შეცვალა ავტოსადგომის პარამეტრები. ნაცვლად რეესტრში რეგისტრირებული 18 კვადრატისა მე მექნება 12 კვადრატი. გარდა პარამეტრების შემცირებისა კონსტრუქციული პროექტის ცვლილებამ განაპირობა ავტოსადგომთან ახლოს კოლონის განთავსება. აღნიშნული კოლონა იმდენად ახლოს გახლავთ ჩემს პარკინგთან რომ დღეის მდგომარეობით 12 კვ.მ-იც კი შეუძლებელია გამოსაყენებლად ვარგისი იყოს მანქანის შესასვლელად და გასაჩერებლად.

მოგახსენებთ AR11004977 განცხადებაზე 2024 წლის 28 მარტის #6956691 გადაწყვეტილებით შპს "დომუს ჯგუფს" დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა რიგი დოკუმენტაციის წარმოდგენა. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით წარმოდგენილი მასალები არ გახლავთ სრულყოფილი, დამკვეთის მიერ არ არის წარმოდგენილი რიგი დოკუმენტები:

1. #6956691 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამკვეთს დაევალა განახლებული ფოტოებისა და მუნიციპალური ინსპექციის მიერ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილებისა და მისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა, რაც არ განხორციელებულა;

2. არ არის გადახდილი შუალედური მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის მოსაკრებელი;

3. ვინაიდან წარმოდგენილია 28 მარტის მდგომარეობით არსებული გეგმები მე-10 ავტოსადგომთან მიმართებაში, კომპანიას ჩემგან არ აუღია თანხმობა ასეთი ფორმით საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირებაზე; აღნიშნული მას დავალებული ქონდა შუალედური გადაწყვეტილების მე-6 პუნქტით სადაც ვკითხულობთ რომ "გეგმებზე ფართები, მათ შორის, ავტოსადგომის ფართები უნდა მიეთითოს საჯარო რეესტრის მონაცემების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭიროა გეგმებზე მიეთითოს ყველა შეცვლილი ფართის წილობრივი საკადასტრო კოდი და წარმოდგენილი იქნას მესაკუთრეთა, არებობების შემთხვევაში მომავალ მესაკუთრეთა და იპოთეკართა, ასევე, ვალდებულების/ყადაღის/აკრძალვის შემთხვევაში, კრედიტორთა თანხმობები. ასევე, გეგმებზე მიეთითოს ფართების ნუმერაცია და ექსპლიკაციები."

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ უზრუნველყოთ ჩემი, როგორც მესაკუთრის ინტერესების დაცვა და არ მისცეთ დამკვეთს შესაძლებლობა ჩემი თანხმობის გარეშე შეათანხმოს მე-10 ავტოსადგომი იმ განთავსებით რაც ამჟამად წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში იკითხება.

დანართი:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ლია რობაქიძე

2024 წლის 24 აპრილი

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**01.10.16.004.179**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**882024351999**	ფართობი:	**6419 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
მომზადების თარიღი:	**14/03/2024**		



პირობითი აღნიშვნები:

ნაკვეთის საზღვარი | მშენებარე ნაგებობა | აშენებული ნაგებობა | ქარსაფარი ზოლი

ხაზობრივი ნაგებობა | ტყის ფონდი | ვალდებულება

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.10.16.004.179.01.03.010

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882024351999 - 14/03/2024 11:27:40

მომზადების თარიღი
14/03/2024 14:24:02

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი საბურთალო				
01	**10**	**16**	**004/179**	**01/03/010**

მისამართი: ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი, N 13ჟ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:**6419.00** კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.10.16.004.178;**
შენობა-ნაგებობები: **შენობა N1 (მშენებარე) , საერთო ფართობი: 19985 კვ.მ.**

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022423079 , თარიღი 14/06/2022 10:16:02
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/07/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:14/06/2022 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
ლია რობაქიძე ,P/N: 60002015219

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:		ფართი:	წილი:
ლია რობაქიძე	საკუთრება	**ავტოსადგომი N10(მშენებარე)**	**-1 სართული**	18.00 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გაღახლის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაფასეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge